გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 134

2023 წლის 14 ივლისი

ქალაქი გორი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ გორის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 14 ივნისს შემოსულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის № 003402/18 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია 2023 წელს დამტკიცებულ გორის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას:

ა) შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებული გორის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშით მოცემული რეკომენდაციები;

ბ) შეიმუშაოს და საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოადგინოს:

ბ.ა) ქონების მართვის კონტროლის მექანიზმები;

ბ.ბ) დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები;

ბ.გ) სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმება და განხორციელდება კომპლექსური ღონისძიებები, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**